ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 18 ივლისი, 2023 №139 (9175) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

მეგის ქარდავას მიმართ, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

„ბებიამ ყველაფერი იცოდა და ვოზარდს გაჩუმებას აიძულებდა“

გვ.5

„გახარიას რა უნდა პოლიტიკაში, უცხოპლანეტელივითაა. რაღაცის ეშინია“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ნაციონალური მოძრაობა მილევად ფაზაში გადავიდა“



გვ.2

პაატა მანჯგალაძე: „თუ ყველა პარტნიორი ცუდია, კარგი ვინ გამოდის? რუსი! პირდაპირი მესიჯია „ქართული ოცნების“, რომ ყველა ცუდია, რუსეთის გარდა“

„პოლონელ ექიმს იქნებ მგლის ტყავი ჰქონდა ფეხსაცმელში ჩადებული?! რომელი კანონი დაარღვია?!“

გვ.4

ნინო ნადირაძე: „სანამ არ იქნება გარანტიები, რომ სააკაშვილი გავა თავისუფლებაზე, არც ერთი წამით არ ველოდები, რომ ვინმე იტყვის მისი გარემოცვიდან, რომ უკეთ არის“

„ეს საერთაშორისო სკანდალია“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ძალზე ვაფასებ საქართველოსა და უზბეკეთს შორის მეგობრულ ურთიერთობებს“

გვ.2

გვ.4

გედევან ფოფხაძე: „როდესაც ქვეყანა რუსულ ფრენებს აღადგენს, სანქციებიც არ უნდა გაუკვირდეს“

დაკავებულია 4 ქართველი, რომლებიც პოლონეთში არასრულწლოვნებს სექსუალურად ავიწროვებდნენ

გვ.4

მეგო ნუცუბიძე კრიტიკოსებს პასუხობს

გვ.5

„ნიუკასლი“ კვარაცხელიას შესაძენად უკან დახევას არ აპირებს

გვ.7

3 ეკა სეფაშვილი: „პოლონელი ექიმის ქმედება, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად სამარცხვინო იყო“

4 ომბუდსმენი: „როცა საქმე ბავშვებს ეხება, ჩვენი მოქმედება მყისიერია და მაქსიმალურად ეფექტური იმ ფარგლებში, რისი გაკეთებაც შეგვიძლია“

5 ბათუმში „ფორმულას“ ჟურნალისტის მიმართ ძალადობაში ბრალდებულს 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

6 უკრაინული არმიის ახალი წარმატებები

1993230720223

„პოლონელ ექიმს იქნებ მგლის ტყავი ჰქონდა ფეხსაცმელში ჩადებული?! რომელი კანონი დაარღვია?!“

პაატა მანჯგალაძე: „თუ ყველა პარტნიორი ცუდია, კარგი ვინ გამოდის? რუსი! პირდაპირი მესიჯია „ქართული ოცნების“, რომ ყველა ცუდია, რუსეთის გარდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი პაატა მანჯგალაძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, ბოლო დღეებია საკმაოდ აქტუალური თემაა სააკაშვილის ირგვლივ განვითარებული პროცესები და ის სკანდალი, რაც „ვივა მედიში“ მოხდა. როგორ აფასებთ პოლონელი ექიმის ქმედებას. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? ამით კიდევ უფრო ხომ არ დაზიანდა პროცესი? იყო მოთხოვნა, შესულიყვნენ ექიმები, შევიდნენ და ვნახეთ, რა ინციდენტიც მოხდა. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– სინამდვილეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ეს საერთო სურათს არ ცვლის. უბრალოდ, ხელისუფლება შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ ნებისმიერი ეს საკითხი გამოიყენოს ჩვენი პარტნიორების დისკრედიტაციისთვის. აი ეს არის მოცემულობა. შანსს არ უშვებენ, რომ არ გააშავონ დასავლეთი, თქვან, რომ ევროპელები ცუდები არიან, ამერიკელებიც და პოლონელებიც. მე მარტივ კითხვას ვსვამ, თუ ყველა პარტნიორი ცუდია, კარგი ვინ გამოდის? რუსი! ამ სხვების ლანძღვა-გინებაში, პირდაპირი მესიჯია „ქართული ოცნების“, რომ ყველა ცუდია, რუსეთის გარდა. აი ამას ამბობენ და ამტკიცებენ ყოველდღე.

– ბატონო პაატა, ფეხსაცმლით გამოჰქონდა ნიმუშიო და ეს არაფერია?

– ვთქვათ, ექიმმა წინდაში ჩაიდო და მერე რა?!

– ეს არაფერია? ხელისუფლება აცხადებს, ეს კეთდებოდა იმისთვის, რომ გაყალბება მომხდარიყო. თქვენ რას ფიქრობთ, რისთვის დასჭირდა პოლონელ ექიმს ამის გაკეთება?

– რის გაყალბება? ჯერ არავინ არ იცის, რა ედო ფეხსაცმელში. იცის ვინმემ?! იქნებ მგლის ტყავი ჰქონდა ადამიანს ფეხსაცმელში ჩადებული. იცის ვინმემ, რა იყო?! ეს მანიპულაციაა. ადამიანს რისი წაღებაც კანონით შეეძლო, რატომ უნდა წაეღო წინდით?! მე როგორც მაქვს ინფორმაცია, თავიდან ნებართვა არ იყო გაცემული და ექიმს ჰქონდა განცდა, რომ შესაძლოა არ გაატანონ და შესაძლოა, ამიტომ ჰქონდა მცდელობა ჩუმად გამოტანის. ეს ჩემი ვერსიაა, თუკი ბიოლოგიური მასალა ნამდვილად იყო. სხვა მოტივს ვერ ვხედავ. „ვივა მედის“ კლინიკაც აღიარებს, რომ პოლონელი ექიმები არიან ცნობილები. რა დიპლომატიური სკანდალი და რა ელჩის დაბარება. სრული სიგიჟეა.

– რას ამტკიცებთ, რომ ჰქონდა ექიმს უფლება, ასე, ფეხსაცმლით გამოეტანა ბიოლოგიური მასალა?

– არანაირი კანონიერი შეზღუდვა არ არის. ვინმე ლაპარაკობს იმაზე, რომ კანონი დაირღვა?! ჯერ არ ვიცით, რა იყო. ხუთი დღეა მიდის ლაპარაკი და ჯერ საერთოდ არ ვიცით, რაზე იყო ლაპარაკი. ვინ ამოიღო, რატომ ამოიღო, ან ახსნა-განმარტებაში რა თქვა იმ ადამიანმა? ამაზე რატომ არ ლაპარაკობენ?! ჩვეულებრივი რუსული მავნებლური პროპაგანდაა.

– ფაქტია, რომ დაზიანდა პროცესი და ჯობდა, მსგავსი რამ არ მომხდარიყო.

– ამას აკეთებენ იმიტომ, რომ მომავალში ალიბი ჰქონდეთ. გამოვლენ და იტყვიან, აი, ერთხელ შევუშვით და ნახეთ, რა ქნეს. იმას კი არ ამბობენ, რა დღეშია სააკაშვილი და სამართლიანად ითხოვენ მის სამკურნალოდ გაყვანას, არამედ სააკაშვილი კარგადაა და მანიპულაცია უნდოდათ, აი ამ აზრს ავითარებენ. ბოლშევიკებივით დაშტამპული აზროვნების ხალხია.

– თქვენი აზრით, არანაირ დარღვევას არ ჰქონია ადგილი?

– მორალურად შეიძლება რაღაც დარღვევაზე ვისაუბროთ, მაგრამ ჯერ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა მიჰქონდა. კანონის დარღვევა რაში მდგომარეობს? რომელი კანონი დაარღვია?! წინდით არ შეიძლება გატანა და ჯიბით შეიძლება? რა კანონია დარღვეული?! ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ საპირისპიროს არ დაამტკიცებ და რა დაამტკიცეს?! არაფერი. მიეცა „ქართულ ოცნებას“ სალაპარაკო და მაქსიმალურად იყენებს. რომ ჰკითხო, პოლიტიკური ინტერესი არა აქვთ და როგორ არ აქვთ, ცხადზე ცხადია ყველაფერი. პოლიტიკური ინტერესი არა აქვთ კი არა, სალომე ზურაბიშვილიც კი დაუცველია, ისეთ დღეში აგდებენ.

– პრეზიდენტი ზურაბიშვილი ახსენეთ და ბოლო პერიოდია აქტიურად მოუწოდებენ სააკაშვილის შეწყალებისკენ. როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს?

– არ მგონია, რომ დღეს მაგის რესურსი ჰქონდეს პრეზიდენტს. მით უმეტეს, გვარამიას გამოშვების მერე. დღეს ზურაბიშვილს სააკაშვილის შეწყალების რესურსი არა აქვს. პრეზიდენტისგან ამ ნაბიჯს არ ველოდები, პირდაპირ გეტყვით.

– დასავლეთმა აქტიურად მოითხოვა პრეზიდენტისგან ამის გაკეთება.

– კი, იყო მოთხოვნა როგორც რადას მხრიდან, ისე დასავლეთიდან, მაგრამ ამას არ გააკეთებენ. „ქართულ ოცნებას“ თუ არ შეექმნება ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე, ისე არანაირ კომპრომისზე არ წავა.

– ანუ ხელისუფლება სააკაშვილით ბოლომდე ივაჭრებს?

– ბოლომდე, მაქსიმალურად. ეგ ხომ პუტინისთვის სიამოვნების მინიჭებაა, ნახე, შენი პირადი მტერი რა დღეში გვყავს. ქულებს იწერენ პუტინთან ამით.

– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდია აქტიურად საუბრობენ ოპოზიციის ერთიანობის შესახებ. ჯერ იყო საუბარი, რომ მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა პრემიერობის კანდიდატი. ბოლო პერიოდია გიორგი ვაშაძის კანდიდატურაც განიხილება, ამბობენ, ეს ყველაფერი ამერიკელებთან არის შეთანხმებული.

– მოდით მივყვეთ ეტაპობრივად. პირველი, ამერიკასთან გიორგი ვაშაძეს ნამდვილად კარგი ურთიერთობა აქვს და ის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. თუმცა, ვთქვათ ისიც, რომ პრემიერობის საკითხი ამერიკაში ნამდვილად არ ირჩევა. მეორეც, ჯერ ადრეა პრემიერმინისტრობაზე საუბარი. ჩვენ ვამბობთ, რომ ობიექტური კრიტერიუმები უნდა იყოს კანდიდატის, საქმე უნდა ჰქონდეს გაკეთებული, რათა ხალხმა დაიჯეროს, რომ მომავალშიც გააკეთებს. გიორგი ვაშაძისნაირი ბევრი არ არის. რაც შეეხება სააკაშვილის საკითხს, სააკაშვილის პარტიაა ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სააკაშვილის არსს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

– ოპოზიციურ ერთობაზე რას იტყვით?

– გაერთიანებას რაც შეეხება, ახლა იმის თქმა, რომ რაც ოპოზიციური პარტიები არსებობს, ამას გავაერთიანებთ, ეს არ მოხდება ბევრი მიზეზის გამო. არც გვაქვს მოლოდინი, რომ ვინმე უნდა შემოგვიერთდეს. თუმცა, ისეთი პლატფორმა უნდა გავაკეთოთ, რომ ყველა ჯანსაღი აზრის ადამიანი შევკრიბოთ და ერთიანი პლატფორმა გავაკეთოთ, მაგაზე ვმუშაობთ.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით? საუბარია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების გაყალბება უკვე დაიწყო 2024 წლისთვის. რას უპირისპირებს ოპოზიცია?

– ჩვენ ვიცით, ამოხსნილი გვაქვს სტრატეგია „ქართული ოცნების“. არაფერი აქვთ გაკეთებული, რითაც თავს მოიწონებს, ეს ხელისუფლება. ასევე, ვერც დაპირებას ვერ გასცემს, რითაც დააჯერებს, რომ ამის გამკეთებელია. აგერ 11 წელია ხელისუფლებაში არიან და რიკოთზე გვირაბი ვერ გაიყვანეს. დღესაც კომენდანტის საათია გამოცხადებული. სამტრედიაში კი 5 წელი აშენებდნენ იმ ხიდს და ჩაინგრა. რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, ვის სჯერა მათი! რა უნდა ქნან? უნდა მოიგონონ ცრუ საფრთხე. არარსებული საფრთხის მოგვარება უფრო ადვილია.

– რა შანსები ან რა რესურსი აქვს ოპოზიციას, რომ დაუპირისპირდეს „ოცნებას“?

– ოპოზიციის მხარეს არის მთავარი რესურსი, სიმართლე. ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს ამომრჩეველს ევროპას და ევროპულ ცხოვრებას. „ოცნება“ კი სთავაზობს რუსულ ჭაობს. თუ ასე უნდათ, თვითონ წავიდნენ. საქართველოს კი რუსეთში არაფერი არ ესაქმება.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ძალზე ვაფასებ საქართველოსა და უზბეკეთს შორის მეგობრულ ურთიერთობებს“

უზბეკეთის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი საქართველოს სტუმრობს

– მსურს კიდევ ერთხელ დავუდასტურო ჩემს ძვირფას კოლეგას, აბდულა არიპოვს, რომ ძალზე ვაფასებ ჩვენს ქვეყნებს შორის ძმურ და მეგობრულ ურთიერთობებს, რომელიც მუდმივად ვითარდება და უზბეკეთის პრემიერის დღევანდელი ვიზიტიც ამის დადასტურებაა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან აბდულა არიპოვთან პირისპირ შეხვედრაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შავკატ მირზიოევს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა უზბეკეთს და უზბეკ ხალხს.

უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აბდულა არიპოვმა ირაკლი ღარიბაშვილს გულთბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრა ლოგიკურად აგრძელებს ქვეყნებს შორის დიალოგს, რომელიც ერთი წლის წინ დაიწყო უზბეკეთში ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტისას.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პირისპირ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი მეგობრული ურთიერთობები და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, რომელიც ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპებს ეფუძნება.

ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგის მაღალ დონეს და მაღალი დონის ვიზიტების პოზიტიურ



დინამიკას.

პრემიერ-მინისტრებმა პირისპირ შეხვედრაზე ისაუბრეს ვაჭრობის და ეკონომიკის სფეროში არსებულ თანამშრომლობაზე. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2021-2022 წლებში ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, საქართველო უზბეკეთის რესპუბლიკას მნიშვნელოვან პარტნიორად განიხილავს, დაინტერესებულია ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით თანამშრომლობით და მიესალმება უზბეკ ინვესტორებს საქართველოში.

მხარეებმა გამოთქვეს ეკონომიკის სფეროში არსებული თანამშრომლობის პოტენციალის სრულად ათვისებისა და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებისთვის ხელის შეწყობის მზადყოფნა.

პირისპირ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრებმა ასევე იმსჯელეს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე, „შუა დერეფნის“ განვითარების მნიშვნელობაზე და ხაზი გაუშვეს საერთაშორისო ფორმატში აღნიშნული სატრანსპორტო მარშრუტის პოპულარიზაციის მნიშვნელობას.

განიხილეს საქართველოს რეფორმების გაზიარების კუთხით არსებული თანამშრომლობა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო მზად არის, გააგრძელოს შემდგომი თანამშრომლობა უზბეკეთის რესპუბლიკასთან რეფორმების სფეროში გამოცდილების გაცვლის კუთხით.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებები, დელეგაციების მონაწილეობით, გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. მხარეებმა საქართველოსა და უზბეკეთის ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს. ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის მჭიდრო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების არსებობას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უზბეკ კოლეგას მადლობა გადაუხადა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას რა უნდა პოლიტიკაში, უცხოპლანეტელივითაა. რაღაცის ეშინია“

სოსო ცინცაძე: „ნაციონალური მოძრაობა მილევად ფაზაში გადავიდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ოპოზიციურ ფლანგზე წინასაარჩევნოდ რას უნდა ველოდოთ? წინანდლის შეკრებამ ხელისუფლებაში კითხვები გამოიწვია. შეიძლება ოპოზიცია გარკვეულ გადალაგებაზე მსჯელობს?

– არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი. ეს დრო არც ცოტაა და არც ბევრი. თუ ოპოზიციას რამის გაკეთება უნდა, ახლავე უნდა დაიწყოს. მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც ვფიქრობ, საარჩევნო ბარიერია. მაღალია ბარიერი. დღევანდელი მონაცემებით, 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა მხოლოდ ორ პარტიას – „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას აქვს.

– დანარჩენებს?

– არავის, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა. თუ ვინმე ახალი ლიდერი გამოჩნდა ამ პერიოდის განმავლობაში, მაშინ არსებული სურათი შეიცვლება და პოლიტიკური მოზაიკა სულ სხვანაირად დალაგდება. ვნახოთ.

– არსებული მოცემულობით თუ მხოლოდ ეს ორი პარტია ლახავს ბარიერს, გამოდის, „ოცნება“ იმარჯვებს?

– დიახ. ზუსტად ამაზე ვსაუბრობ. „ოცნება“ გაიმარჯვებს და მეორე ადგილზე გავა „ნაციონალური მოძრაობა“. თუ ნაციონალებთან გაერთიანდებიან „სტრატეგია აღმაშენებელი“ – ვაშაძე და კიდევ ერთი-ორი პატარა პარტია, ეს არაფერს არ შეცვლის. აქ ხომ მნიშვნელოვანი ელექტორატია. მათი ჯამი ვერ იქნება იმდენი, რომ „ოცნებას“ გამარჯვების საფრთხე შეექმნას. ამიტომ ვამბობ, რომ ზუსტად იგივე მოხდება, რაც ადრე მოხდა.

საარჩევნო ბარიერს რაც შეეხება, არანაირი წინაპირობა არ არსებობს საიმისოდ, რომ „ოცნებამ“ ის შეცვალოს. ხარაკირზე ხომ არ წავა?! ან რამ უნდა აიძულოს, რომ ამაზე წავიდეს.

– რამ უნდა აიძულოს?

– პოლიტიკურმა პროცესმა, რომელიც ოპოზიციამ უნდა შექმნას, მაგრამ ამ ოპოზიციას ამის თავი აქვს?! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამათი ამოცანა არის მხოლოდ პარლამენტში მოხვედრა. რომ იყვნენ დასაქმებულები და ჰქონდეთ შემოსავალი. პოლიტიკიდან არ გაქრნენ და ზედაპირზე იტივტივონ.

– უფრო დიდი იდეა არა აქვთ?

– არა, გამოდის, არ აქვთ. თუ აქვთ და მიზანი გაცილებით მეტია, მაშინ სულ სხვანაირად უნდა იქცეოდნენ. სხვანაირად უნდა მუშაობდნენ. „რუსული ოცნება“-ს ძახილი არ არის პოლიტიკა.

თან, საქართველოში იდეური ელექტორატი არ არსებობს. ოპოზიციას შეუძლია სოციალურ პრობლემაზე გააკეთოს მთავარი აქცენტი და ასე გაიჩინოს მიმდევრები. ხალხის პრობლემებზე გააკეთოს თავისი პოლიტიკა, მაგრამ – არა. გაუგებარია, რატომ.



– ცალკეულ პარტიებზე რომ ვისაუბროთ. რა შანსები აქვს გახარიას?

– სიმართლე გითხრათ, მე ვერ გავიგე, რა უნდა ამ კაცს. უნდა კი, იყოს საერთოდ პოლიტიკაში?! ან რაღაცის ეშინია ან რაღაცას ერიდება. სამ თვეში ერთხელ უცხოპლანეტელივით გამოჩენით თუ ფეისბუკ სტატუსით, პოლიტიკა არსად არ კეთდება და არავის არ გაუკეთებია. თუ ასე გააგრძელებს, ხუთპროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს და პარლამენტში ვერ მოხვდება.

– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე, როგორ შეიძლება იქ მოვლენები განვითარდეს?

– ძალიან უცნაური სიტუაციაა მიხეილ სააკაშვილის თავს. ვერ გავიგე, რა იყო პოლონელი ექიმის მიზანი?! პოლონელ ექიმებს უკავშირდებოდა იმედის ნაპერწკალი და ისიც უკანასკნელი მირაჟივით გაქრა.

ძალიან შეცდა მიხეილ სააკაშვილი, როდესაც არც ერთი ლიდერი არ გამოზარდა. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ პარტია მილევად ფაზაში გადავიდა. პარტიას არ აღმოაჩნდა არც ერთი ლიდერი, რომელიც რაციონალურად იმოქმედებდა და მთელ პასუხისმგებლობას აიღებდა. მეტიც, პარტია სააკაშვილის წინაშე ამორალურად იქცევა. პოლიტიკაში ბრუნდებაო, პარტიის გადასარჩენად გაიძახოდნენ, ოჯახის წვერები კი ამბობდნენ, რომ ქართული პოლიტიკა არ აინტერესებსო. ან რა იყო ის, კბილებით დავიხსნითო, რომ გაჰყვიროდნენ, ასეთი ბლეფი, ან ვის ატყუებდნენ, ან რა საქციელი იყო ეს თავად სააკაშვილის წინაშე.

ნაციონალური მოძრაობა თუ კიდევ არ დაუშვებს შეცდომას და ცოტა აზრზე მოვა, მაშინ აქვს შანსი, რომ ბარიერი გადალახოს და წარმოადგენდეს საპარლამენტო უმცირესობას.

– თქვენ მოულოდნელ ფაქტორებზე საუბრობდით...

– დიახ, ასეთი მოულოდნელი ფაქტორებისგან არავინ და არაფერია დაზღვეული. ერთი წელი ასეთი ფაქტორებისთვის ძალიან დიდი დროა. როგორ განვითარდება უკრაინაში მოვლენები. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით. გამოჩნდება ვინმე ახალი ლიდერი?! ბევრი ფაქტორია, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევნებზე.

სრულიად მოულოდნელად ბელგიამ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების ნუსხიდან ამოიღო, რაც ძალიან ცუდია. არადა, რამდენიმე თვეში ევროკავშირმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ახლა თუ რამის თავი აქვს ქართულ დიპლომატიას, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ბრიუსელმა გადაწყვეტილება შეცვალოს.

რატი ბრეგაძე პოლონელ ექიმთან დაკავშირებულ ინციდენტზე — „ბევრ დეტალზე შეგნებულად არ ვისაუბრებ“

– სამწუხაროდ, ვიხილეთ სრულიად გაუგონარი ქმედება, რაც არ ჯდება არც ერთ ეთიკურ და სამართლებრივ ნორმაში – მსჯავრდებული სააკაშვილი კონკრეტულად ამ ნიმუშის აღებას, რა თქმა უნდა, ხედავდა, მაგრამ გატანის მცდელობის ფაქტზე, ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც პოლონელ ექიმთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა.

მინისტრის თქმით, პოლონეთის საელჩოს წარმომადგენელმა ექიმის ქცევის მიზეზებთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხი ვერ გასცა.

მანვე აღნიშნა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან სხვა ექიმების შესვლასთან იყოს დაკავშირებული, ამიერიდან სამინისტროს მხრიდან ბევრად უფრო დეტალურად იქნება განხილული.

– მე რომ მდომოდა ამის შესახებ საუბარი და მდომოდა, რომ ეს ინფორმაცია ამ ეტაპზე გამხდარიყო საჯარო, მაშინ ჩვენ ვაჩვენებდით კადრებს, ამის არავითარი პრობლემა არ არის. აქ იყო ნიმუშის აღების პროცესი და ხედავდა თუ არა მსჯავრდებული სააკაშვილი კონკრეტულად ამ ნიმუშის აღებას, რა თქმა უნდა, ხედავდა, მაგრამ გატანის მცდელობის ფაქტზე, ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, ვერ გეტყვით.

ბევრ დეტალზე შეგნებულად არ ვისაუბრებ, თუმცა, რაც ვთქვი, იმას აუცილებლად გავიმეორებ, რომ ამ კონკრეტულმა პოლონელმა ექიმმა ნამდვილად დაადასტურა ის, რომ წინდის მეშვეობით ცდილობდა მსჯავრდებული სააკაშვილისგან აღებული ნიმუშის გატანას. არ მინდა დეტალებზე საუბარი, რა სახის ნიმუში იყო, რადგან ეს იყო სამედიცინო პროცედურა და არ მინდა, დეტალებში არ შევალ, თუმცა, რა შეიძლებოდა განთავსებულიყო ხელსახოცში და ჩატეულიყო წინდაში, ალბათ, უჩემოდაც მიხვდებით. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ.

ჩვენ დავრჩით ჩვენ მიერ გაცემული პირობის ერთგული, თუმცა მეორე მხრიდან, სამწუხაროდ, ვიხილეთ სრულიად გაუგონარი ქმედება, რაც არ ჯდება არც ერთ ეთიკურ და სამართლებრივ ნორმაში და, შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება, დაკავშირებული იყოს სხვა ექიმების შესვლასთან, რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ ბევრად უფრო დეტალურად იქნება ამიერიდან განხილული.

ამ კონკრეტულ ექიმს რაც შეეხება, თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენ მივმართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს იმასთან დაკავშირებით, რომ პოლონეთის საელჩოდან მიეღოთ ინფორმაცია. როგორც იცით, დღეს იმყოფებოდა საელჩოს წარმომადგენელი საქართველოს საგარეო სამინისტროში და შემდგომში როგორც საზოგადოებისთვის უკვე არის ცნობილი, პოლონელი დიპლომატი არ არის ინფორმირებული ექიმის ამგვარი ქცევის მიზეზების შესახებ, რაც კიდევ უფრო მეტად გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის პოლონელი ექიმის მსგავს ქცევას.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩის არ ყოფნის გამო იმყოფებოდა სხვა დიპლომატი, ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური პრაქტიკაა და სწორედ ამ დიპლომატმა განაცხადა, რომ არ იყო ინფორმირებული ექიმის ამგვარი ქცევის მიზეზების შესახებ. მას არ უთქვამს, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, ჩვენ მივაწოდეთ მათ ინფორმაცია, თუმცა მიზეზებთან დაკავშირებით მან ვერ გასცა ამომწურავი პასუხი.

ჩვენ ვრჩებით ჩვენს პოზიციაზე, ჩვენ გვჭირდება ახსნა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ექიმის ამგვარი ქცევა. აქ ერთ მნიშვნელოვან დეტალს მინდა გავუსვა ხაზი – ჩვენ პასუხისმგებელი ვართ, მათ შორის, ამ ადამიანის უსაფრთხოებაზე და როდესაც საუბრობენ, რომ იქნება ადამიანს რაიმე შემოტანილი ჰქონდა წინდის მეშვეობით, მაშინ არ ჩნდება კითხვის ნიშნები, რა მიზნით ჰქონდა შემოტანილი?! აქვე გეტყვით, რომ ამ ადამიანს არაფერი ჰქონია შემოტანილი წინდის მეშვეობით, ის უბრალოდ ცდილობდა წინდის მეშვეობით მსჯავრდებულისგან აღებული ნიმუშის გატანას. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, გაგვიჩნდა სერიოზული კითხვის ნიშნები პოლონელი ექიმების მიმართ, მათი ქმედების მოტივაციის შესახებ და ვართ დაინტერესებული, რომ მივიღოთ მათგან ამომწურავი პასუხები, რაც არ მიგვიღია. რაც შეეხება პოლონელი ექიმის მიცემულ ახსნა-განმარტებას, ის არ ექვემდებარება ლოგიკურ ახსნას.

ვერსია შეიძლება იყოს მრავალი, მაგრამ მე მინდა შევიკავო თავი, რადგან არ მიეცეს სპეკულაციას ფართო გასაქანი, ჩვენ მივმართეთ საელჩოს და ვერ მივიღეთ დაზუსტებული პასუხი და, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს საკმაოდ სერიოზული კითხვის ნიშნები და ეს შესაძლებელია ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულებისთვის გამოყენებული, – განაცხადა ბრეგვაძემ.

შეგახსენებთ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცნობით, პოლონელი ექიმი საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისაგან აღებული ნიმუშების გატანას მალულად, ფეხსაცმლის საშუალებით ცდილობდა. უწყებამ შესაბამისი ვიდეოკადრებიც გაავრცელა.

ეკა სეფაშვილი: „პოლონელი ექიმის ქმედება, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად სამარცხვინო იყო“

– პოლონელი ექიმის ქმედება, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად სამარცხვინო იყო და ალბათ ვითარების არევის მიზანს ემსახურებოდა, რათა გაგრძელებულიყო უნიჭო სპექტაკლი – მიშა ავად არის და კვდება, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა ეკა სეფაშვილმა განაცხადა.

სეფაშვილის თქმით, პენიტენციურმა სამსახურმა და იუსტიციის სამინისტრომ იმოქმედეს ისე, როგორც საჭირო იყო და როგორც ეს სახელმწიფოს შეეფერება.

– ჩვენ ვერ მოვისმინეთ დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება საელჩოს მხრიდან და არც არის გასაკვირი – ძნელია არგუმენტირებული და მყარი პოზიციის გაჟღერება. რა თქმა უნდა, ეს საქართველო-პოლონეთის ურთიერთობებს არ დააზიანებს. ეს არის კიდევ ერთი დიდი მარცხი იმ კამპანიისა, რომელიც წელიწადზე მეტია გრძელდება როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში, რომ საქართველოს პენიტენციური დაწესებულება ერთ-ერთი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას ვერ უმკლავდება, – განაცხადა ეკა სეფაშვილმა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, პოლონელი ექიმი მიხეილ სააკაშვილისაგან აღებული ნიმუშების გატანას ფეხსაცმლის საშუალებით ცდილობდა. უწყებამ შესაბამისი ვიდეოკადრებიც გაავრცელა.

2023, 18 ივლისი, №139

„ეს საერთაშორისო სკანდალია“

მარიამ მჭედლიშვილი

ნინო ნადირაძე: „სანამ არ იქნება გარანტიები, რომ სააკაშვილი გავა თავისუფლებაზე, არც ერთი წამით არ ველოდები, რომ ვინმე იტყვის მისი გარემოცვიდან, რომ უკეთ არის“

„ვივამედში“ მომხდარი ინციდენტი ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავების მორიგი საფუძველი გახდა. ეს პროცესები, სავარაუდოდ, შეანელებს სააკაშვილის ლობისტებისა და პროტექტორების აქტივობას.

„სააკაშვილის ოჯახის მოთხოვნები ჩაანაცვლა საზოგადოების ინტერესმა“

კლინიკა „ვივამედში“ მომხდარმა სკანდალმა, რომელმაც საზოგადოება საგონებელში ჩააგდო, პოლიტიკური დაპირისპირებაც გაამწვავა. კერძოდ, სააკაშვილის მომხრეები უპირისპირდებიან მის (და მისი ლობისტების) კრიტიკოსებს. სააკაშვილის კრიტიკოსებს კი კრიტიკისთვის სერიოზული საფუძველი აქვთ.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის სანახავად მისული პოლონელი ექიმებიდან ერთ-ერთი ექსპრეზიდენტისგან აღებული ნიმუშის მალულად გატანას (წინდით) ცდილობდა.

– ყველაფერს წინდებში ვინახავ, ჯიბეები არ მიყვარს – პარტიზანული მოქმედებების მოყვარული პოლონელი ექიმის ეს კომიკური და ამავდროულად სახიფათო ფრაზა, ისევ მეორდება.

„კურიერი P.S.“-ის ინფორმაციით, ეს ექიმი ნეიროქირურგი არტურ ზააჩინსკია, რომელიც ვარშავის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის მოადგილედ მუშაობს.

კლინიკაში მომხდარ ფაქტს წინ უძღოდა ევროპარლამენტარების ჯგუფის მოწოდება სააკაშვილის სამკურნალოდ სხვა ქვეყანაში გადაყვანაზე, ასევე უკრაინის პარლამენტის – ვერხოვნაია რადას მომართვა პრეზიდენტ ზურაბიშვილისადმი სააკაშვილის შეწყალებაზე.

ამ ყველაფრის წინ იყო ოფიციალური კიევის დემარში, საქართველოს ელჩის უკრაინიდან ფაქტობრივი გამოძევება. უკრაინის ხელისუფლების ეს დემარში უცნაურად ჩანდა მას შემდეგ, რაც სტრასბურის სასამართლომ დაადგინა, რომ სააკაშვილის სხვაგან სამკურნალოდ გადაყვანის საჭიროება არ არის. თავის მხრივ, სააკაშვილმა კი გამოაცხადა, რომ საქართველოს პოლიტიკაში აქტიურად ერთვება.

ოფიციალური კიევისა და ევროდეპუტატების აქტივობა უფრო უცნაურად და საეჭვოდ გამოჩნდა ნეიროქირურგ ზააჩინსკის პროვოკაციის შემდეგ.

საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ პოლონელ ექიმს სააკაშვილის ბიოლოგიური ნიმუშის მალულად გატანა (ოფიციალურად გატანის საშუალება არსებობდა) გასაყალბებლად სჭირდებოდა. მათი აზრით, ფალსიფიცირებულია სააკაშვილის ადრე დასახელებული დიაგნოზებიც. მათი აზრით, დემენციის დიაგნოზი მოგონილია.

ნებისმიერ შემთხვევაში, მომხდარი სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის სასარგებლო ვერ იქნება.

ადვოკატი ირმა ჭკადუა აცხადებს:

– „ვივამედში“ მომხდარმა ფაქტმა პარადოქსული ვითარება შექმნა. სააკაშვილის, მისი ოჯახისა და პარტიის მოთხოვნები ჩაანაცვლა საზოგადოების ინტერესმა და ჯანსაღმა მოთხოვნამ, პასუხი გაეცეს შეკითხვას, რა ფარულ სპეცოპერაციასთან გვაქვს საქმე? ვინ დგას ამის უკან? რა მიზანს ემსახურებოდა პოლონელი ექიმების გამაოგნებელი ქმედება?.. ეს საერთაშორისო სკანდალია და შესაბამის რეაგირებას მოითხოვს.

„სანამ გათავისუფლების გარანტია არ ექნებათ, სააკაშვილის გარემოცვის წევრები არ იტყვიან, რომ ის უკეთაა“

როგორც ცნობილია, პოლონელი ექიმები დაეთანხმნენ სააკაშვილის მკურნალობის მეთოდებს. მათ ის პოზიციაც გაიზიარეს, რომ მას დაბალკალორიულ საკვებს აწვდიან. საჭმლით ექსპრეზიდენტს შინიდან ამარაგებენ. კლინიკის მედიკოსები მათ დიდი ხანია მოუწოდებენ რაციონის შეცვლას.



„ვივამედის“ გენერალური დირექტორი ნინო ნადირაძე ამ საკითხზე აღნიშნავს:

– პაციენტი (სააკაშვილი) უფრო წამოგვყვა, ვიდრე ოჯახის წევრები. ვერ ვაიძულეთ, რომ მოიტანონ ის საკვები, რასაც ჩვენ ვთხოვთ. სანამ არ იქნება გარანტიები, რომ (სააკაშვილი) გავა თავისუფლებაზე, არც ერთი წამით არ ველოდები, რომ ვინმე იტყვის მისი გარემოცვიდან, რომ უკეთ არის.

საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ კანონის მიხედვით იმოქმედებს და სხვების რჩევებს არ აჰყვება.

იუსტიციის სამინისტრომ, რომელსაც პენიტენციური სისტემა ექვემდებარება, პოლონელი ექიმის საქციელში ლოგიკა ვერ ნახა. სამინისტრო აცხადებს, რომ კანონის შესაბამისად იმოქმედებს და მტკიცებულებებისა და ლოგიკას მოკლებულ მოწოდებებსა და რეკომენდაციებს არ დაექვემდებარება.

– ყველამ პატივი უნდა ვცეთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. რაოდენ დიდი გაერთიანებაც არ უნდა შედგეს, რომელიც არ ეფუძნება მტკიცებულებებს და რომლის უკანაც არ დგას ლოგიკა, ჩვენ ვერავის აზრს ვერ გავითვალისწინებთ. ჩვენ ვმოქმედებთ მკაცრი კანონმდებლობის ფარგლებში, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

ომბუდსმენი: „როცა საქმე ბავშვებს ეხება, ჩვენი მოქმედება მყისიერია და მაქსიმალურად ეფექტური იმ ფარგლებში, რისი გაკეთებაც შეგვიძლია“

სახალხო დამცველის, ლევან იოსელიანის განცხადებით, გახშირებული პედოფილიის შემთხვევები გამოწვევა და პრობლემაა.

იოსელიანის თქმითვე, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა დეპარტამენტი ყველა მსგავსი შემთხვევის შესწავლაში აქტიურადაა ჩართული.

– ეს ნამდვილად გამოწვევა, პრობლემაა და სახალხო დამცველის აპარატი ყველა ასეთ შემთხვევაზე და არამხოლოდ იმ შემთხვევებზე, რომელიც გახმაურებულია, არის შემთხვევები, რომელიც საჯაროდ არ ხმაურდება, მუშაობს, ბავშვთა დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული ყველა შემთხვევის შესწავლაში და შესაბამისად ვართ კონტაქტზე შესაბამის უწყებებთან. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ გვყავს ბავშვები და მათთან დაკავშირებული პრობლემები.

დარწმუნებული ვარ, იცით, რომ სახალხო დამცველს თვითონ არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაგრამ პარლამენტთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და არასრულწლოვნებთან მიმართებაში ძალიან ბევრი ინიციატივა გვაქვს, რომელიც მიმართულია მათი უფლებების სამომავლოდ კიდევ უფრო დაცვასა და გაუმჯობესებაზე. სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სასჯელები საკმაოდ მკაცრია გაუპატიურების მუხლთან დაკავშირებით, მაგრამ ამ სასჯელის სიმკაცრე არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბავშვზე მორგებული კანონმდებლობა კიდევ უფრო ეფექტური იყოს, – განაცხადა იოსელიანმა.

კითხვაზე, უნდა ფორმდებოდეს თუ არა პედოფილიაში მხილებულ ადამიანებთან საპროცესო შეთანხმებები, ის პასუხობს, რომ კონკრეტულ სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ შეაფასებს.

– ზოგადად, როცა საქმე ბავშვებს ეხება, ყველას, მოსამართლიდან დაწყებული, რიგითი მოქალაქით დამთავრებული, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ყურადღება გვმართებს, რომ ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათ საუკეთესო ინტერესს ემსახურებოდეს. ამიტომ, ყველას მოვუწოდებ, როცა ბავშვის შესახებ საქმეებს განიხილავენ, ეს იქნება სასამართლოში თუ სხვა უწყებებში, მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით იხელმძღვანელონ, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

მისივე თქმით, როცა სახალხო დამცველის აპარატისთვის ერთ-ერთი ჟურნალისტის შვილის შესახებ გავრცელებული ვიდეომასალის შესახებ გახდა ცნობილი, მათ აღნიშნულთან დაკავშირებით რეაგირება მოახდინეს.

– როცა ჩვენ გავიგეთ, რომ ერთ-ერთი ჟურნალისტის ბავშვის ამსახველი რგოლი ტრიალებდა სოციალურ სივრცეში, ჩვენ სპეციალური განცხადება გავაკეთეთ ამის შესახებ და მოვუწოდეთ, რომ ბავშვის ინტერესები მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული, ადამიანებს გამოეჩინათ პასუხისმგებლობა, შსს მიეღო შესაბამისი ზომები, რომ ბავშვის ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული.

როცა საქმე ბავშვებს ეხება, მინდა ნათლად იცოდეს საზოგადოებამ, რომ სახალხო დამცველის პოზიცია, ჩვენი აპარატის მოქმედება ძალიან მყისიერია და მაქსიმალურად ეფექტური იმ ფარგლებში, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია. ყოველთვის ვგმობთ, მოვუწოდებთ და შემდეგ მივყვებით ამ საქმეებს, – განაცხადა იოსელიანმა.

გედევან ფოფხაძე: „როდესაც ქვეყანა რუსულ ფრენებს აღადგენს, სანქციებიც არ უნდა გაუკვირდეს“

– როდესაც ქვეყანა რუსულ ფრენებს აღადგენს, არათუ ასეთი გადაწყვეტილებები უნდა გაიკვირვოს, არამედ სანქციებიც არ უნდა გაუკვირდეს, – ამის შესახებ გედევან ფოფხაძე ბელგიის მიერ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიიდან ამოღების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

მისივე თქმით, ქვეყანას ეფექტური დიპლომატიური სისტემა რომ ჰქონდეს, ასეთი რაღაც არ მოხდებოდა.

– ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩვენ გვქონდეს ეფექტური დიპლომატიური სისტემა და ასეთი რაღაც ხდებოდეს. ისეთი ვითარებაც არ არის საქართველოში, რომ ყველა ნაბიჯზე დანაშაული ხდებოდეს. წარმატებული კრიმინოგენური ვითარება არ გვაქვს, მაგრამ არც ისეთი არ არის, რომ დიპლომატიური გზებით არ იყოს შესაძლებელი ბელგიასთან მაგაზე მოლაპარაკების წარმოება, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღოს.

ზოგადად ცუდი გზავნილია და ყველა უნდა ხვდებოდეს, რომ აგდებული დამოკიდებულება არასწორია, მაგრამ, როდესაც ქვეყანა რუსულ ფრენებს აღადგენს, არათუ ასეთი გადაწყვეტილებები უნდა გაიკვირვოს, არამედ სანქციებიც არ უნდა გაუკვირდეს იმიტომ, რომ რეალურად დღეს საქართველო ევროპისა და მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის რუსეთის ორბიტაზე მყოფი სახელმწიფოა.

სანამ „ქართული ოცნება“ და პრორუსული ხელისუფლება იქნება ამ ქვეყნის სათავეში, არაფერს პოზიტიურს ევროპისგან არ უნდა ველოდოთ, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

გედევან ფოფხაძის შეფასებით, ხელისუფლებამ იმ დონეზე დაკარგა რეალობის აღქმა, რომ საგარეო პოლიტიკას ვერ აღიქვამს.

– მგონია, რომ ამ ხელისუფლებამ დაკარგა რეალობის განცდა იმ დონეზე, რომ საგარეო პოლიტიკას საერთოდ ვერ აღიქვამენ. რა ქნას ღარიბაშვილმა? ადამიანურად მისი გაგებაც შეიძლება. მას ხელისუფლება არ აქვს, ხელისუფლება აქვს ივანიშვილს, იმან ამას ჩააბარა და უთხრა, არაფერი არ შეგეშალოსო, ხოლო ამან არ იცის, რა უნდა შეეშალოს და რა არ შეეშალოს. როგორ იმარჩიელოს, იმის თვალში შეცდომა რა გამოვა, წინასწარ არ იცის, მაგდენი დირექტივებიც არ აქვს მიღებული. ერთხელ უკვე გაშვებული კაცია და ძნელია, რომ ამ ვითარებაში რაღაც ინიციატივა გამოიჩინოს, იაქტიუროს, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

დაკავებულია 4 ქართველი, რომლებიც პოლონეთში არასრულწლოვნებს სექსუალურად ავიწროებდნენ

პოლონეთში, ქალაქ ბიტომში არასრულწლოვნების მიმართ არასათანადო მოპყრობის, შევიწროების ბრალდებით 4 პირი დააკავეს. სამართალდამცავები ადგილზე შაბათს გამოიძახეს.

პოლონური მედიების ცნობით, ერთ-ერთი დაზარალებულის დედამ დაცვის თანამშრომელი გააფრთხილა, რომ რამდენიმე კაცი მის შვილს არასათანადოდ მოექცა. გავრცელებული ინფორმაციით, 50 წელს გადაცილებული კაცი მას შეეხო. კიდევ ერთი მედია წერს, რომ დაცვას, სავარაუდოდ, იგივე კაცის შესახებ ინფორმაცია ორმა ბიჭმაც მიაწოდა, რომლებიც ამბობდნენ, რომ შეხებას აუზში თამაშის დრო ჰქონდა ადგილი.

ინტერნეტში გავრცელდა ჩანაწერი, სადაც ჩანს ხალხის ბრბო და პოლიციელები, რომლებსაც დაკავებულები ტერიტორიიდან გაჰყავთ, შეკრებილებმა მათ წრე შემოარტყეს და ბრალდებულების იქვე დასჯას ითხოვდნენ. სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. პოლიცია ადასტურებს, რომ დაკავებულები უცხოელები არიან, თუმცა მათ ეროვნებას არ ასახელებენ. გამოცემა Bytom.pl თავის მხრივ აცხადებს, რომ ბრალდებულები ქართველები არიან.

„ბებიამ ყველაფერი იცოდა და მოზარდს გაჩუმებას აიძულებდა“

15 წლის გოგოს ბიძა წლების განმავლობაში სექსუალურად ავიწროებდა, ბებიამ კი ყველაფერი იცოდა და მოზარდს გაჩუმებას აიძულებდა. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როდესაც გოგონა ემიგრაციაში მყოფ დედასთან ჩავიდა და ბიძის საზარელი დანაშაულის შესახებ უამბო.

ახალგაზრდა ქალი „P.S.-ს“ ღიად უყვება, თუ როგორ აღმოჩნდა მისი არასრულწლოვანი შვილი ბიძის მხრიდან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი. გოგონა 15 წლის იყო, როდესაც მასზე ძალადობა დაიწყო. რესპონდენტი ჰყვება, რომ ბიძა, რომელიც მამის ოჯახს ხშირად სტუმრობდა, მოზარდს ეროტიკული შინაარსის ვიდეოებს უგზავნიდა და სქესობრივ კავშირზე დათანხმებას ცდილობდა. ბავშვმა მოძალადისგან თავის დაღწევა რამდენჯერმე შეძლო. მომხდარის შესახებ კი მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც ემიგრაციაში მყოფ დედასთან ჩავიდა და თავი უსაფრთხოდ იგრძნო.

ბიძის მხრიდან მოზარდის შევიწროებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. დედა ყვება, რომ ფაქტის შესახებ ცნობილი იყო ბებიისთვის, რომელმაც არასრულწლოვან გოგონას ორი წლის განმავლობაში გაჩუმება აიძულა. მამის ოჯახმა ფაქტზე გამოძიების დაწყება საჭიროდ არ ჩათვალა.

ბებია ადასტურებს სავარაუდო დანაშაულს და არც იმას უარყოფს, რომ მომხდარის შესახებ იცოდა. ქალი ამბობს, რომ ბავშვის ბიძას პირადად გაუსწორდნენ.

სავარაუდო მოძალადის ოჯახის წევრები მომხდარს უარყოფენ და არც ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს ადასტურებენ. „

ოჯახი უარყოფს, თუმცა „P.S.-მა“ მოიპოვა მიმოწერა, სადაც ბიძა პირადად ადასტურებს მოზარდის სექსუალურ შევიწროებას.

– ვის რა პასუხი უნდა გავცე. ყველაზე მეტად ვიცი, რა არაადამიანიც ვარ, არაკაციც. „ამის მერე, სიკვდილზე მეტს არაფერს არ ვიმსახურებ. გამოვსირდი და არაადამიანური გავაკეთე. ვეღარ გამოვასწორებ ამ ყველაფერს. ვერავის ვერ ვუყურებ ისე, როგორც ადრე, – აღნიშნულია ბიძის მიმოწერაში.

უცხოეთში, სამუშაოდ მყოფი დედა სამართალდამცველებისგან შესაბამის რეაგირებას ახლა ითხოვს.

მეგის ქარდავას მიმართ, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, არ დაეკმაყოფილა მსჯავრდებულ მ.ქ.-ს სააპელაციო საჩივარი და ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, სააპელაციო ინსტანციაში პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ 2006 წლის 27 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულების დირექტორმა მ.ქ.-მ, დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ რამდენიმე მსჯავრდებულს ღირსებისა და პატივის შელახვით მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

გამოძიების თანახმად, მსჯავრდებულების მიმართ ფიზიკური ძალადობა გაგრძელდა მათი დაწესებულების ეზოში გაყვანის შემდგომაც. ყველას დასანახად პატიმრების უმოწყალოდ ცემამ და მათი ამ ფორმით ბადრაგირებამ, სასჯელაღსრულების დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, პატიმართა ბუნტი და საზოგადოების პროტესტი გამოიწვია.

– სასამართლომ მ.ქ.-ს, პატიმართა მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლით, სასჯელის სახედ და ზომად, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულების ყოფილი ხელმძღვანელი მ.ქ. არაერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა მიმალვაში და მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოცხადებული იყო ძებნა. საბოლოოდ, 2021 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოში მსჯავრდებულის ექსტრადირება განხორციელდა.

მ.ქ.-ს მიმართ საქართველოში არსებული 11 სისხლის სამართლის საქმიდან 5-ზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 6 სისხლის სამართლის საქმე იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ბათუმში „ფორმულას“ ჟურნალისტის მიმართ ძალადობაში ბრალდებულს 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

ბათუმში ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტ სალომე ბოკუჩავას მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლასა და ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებულ პირს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 3.000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

პროკურატურა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000-ლარიან გირაოს სთავაზობდა, რაც სასამართლომ ნაწილობრივ დაეკმაყოფილა.

შუა ხნის ქალს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 154-ე მუხლებით ედავება.

თავად ბრალდებული აცხადებს, რომ დაკისრებული გირაოს გადახდას ვერ შეძლებს და დანაშაულს აცნობიერებს.

– მომხდარიდან მეორე დღეს ჟურნალისტის ნახვა მინდოდა, რომ ბოდიში მომეხადა. გამწარებული ვარ ასეთი სამარცხვინო ფაქტის გამო, მამა-შვილს შორის. ბავშვი თავშესაფარშია, არ მანახებენ.

ბავშვის დედა იძახის, ჩემთან არ უშვებდაო, რაც სიცრუეა. ერთხელ მოვიდა და დაბადების დღე ან ახალი წელი თუ მოულოცა. გაუპატიურების ფაქტი რომ მცოდნოდა, ჩემი ხელით მოვკლავდი. ტყუილია, მე რომ ასეთი ფაქტი მცოდნოდა, იქვე დავაჭერინებდი. მომხდარის შემდეგ ჩემი შვილი არ შემხმიანებია. წარმოდგენა არ მაქვს მის პოზიციაზე, ეს ამბავი რომ მოხდა, ბავშვს ვთხოვე „ხოფაზე“ საყიდლებზე წასვლა. ბავშვმა დაიგვიანა საღამოს და ვთხოვე შვილს, რომ შვილიშვილი მოეძებნა, წავიდა საძებნელად. მეგონა, ჩემმა შვილმა სადღაც იჩხუბა, ფაქტი პოლიციაში გავიგე. ამ ფაქტის ირგვლივ არაერთი დეზინფორმაცია გავრცელდა, – განაცხადა 13 წლის მოზარდის ბებიამ.

ცნობისთვის, საქმე ეხება ბათუმში რამდენიმე დღის წინ 13 წლის მოზარდის გაუპატიურების ფაქტს, რის გამოც სამართალდამცავებმა მოზარდის მამა დააკავეს. მამის მომხდარის გამო, „ფორმულას“ ჟურნალისტი სალომე ბოკუჩავა ადგილზე მივიდა და პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, მას 13 წლის არასრულწლოვანის ბებია, გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული კაცის დედა ფიზიკურად გაუსწორდა, რის გამოც შუა ხნის ქალს ბრალი წარუდგინეს.

შვილის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული კაცი ბათუმის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

სასამართლომ შვილის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული პატიმრობაში დატოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოში სხდომა ცოტა ხნის წინ დასრულდა. მოსამართლე თამარ ბეჟანიშვილის გადაწყვეტილებით, სასამართლო სხდომა, არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე, დაიხურა.

40 წლამდე კაცი 12 ივლისს დააკავეს. გამოძიება მას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ სექსუალურ ძალადობას ედავება. ბრალდება 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. არსებული ინფორმაციით, მომხდარის შესახებ მოზარდმა მეგობარს უამბო, რომელმაც საგამოძიებო ორგანოს მიმართა. 13 წლის გოგოს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა.

მოზარდი ბებიას მეურვეობის ქვეშ ცხოვრობდა. შვილის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული კაცი წარსულში არაერთხელ ნასამართლევია.

ლანჩხუთში ნაპოვნია ორი ქალბატონის ცხედარი

ლანჩხუთში მრავალსართულიანი კორპუსის ერთ-ერთ ბინაში ორი ადამიანი გარდაცვლილი იპოვეს. როგორც რეგიონული გამოცემა „გურია თუდეი“ სოციალურ ქსელში წერს, მეზობლებმა პოლიცია და სამაშველო სამსახური მას შემდეგ გამოიძახეს, რაც ბინიდან მძაფრი სუნი გამოვიდა.

არსებული ინფორმაციით, ბინაში სამაშველო სამსახურის თანამშრომლები კარის გაჭრის შემდეგ შევიდნენ. სწორედ მათ აღმოაჩინეს გარდაცვლილი 82 და 72 წლის ქალის ცხედრები.

შემთხვევის ადგილას მობილიზებული არიან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

მებო ნუცუბიძე კრიტიკოსებს პასუხობს

მომღერალი მებო ნუცუბიძე კრიტიკოსებს პასუხობს. მომღერლის გაკრიტიკება საზოგადოების ნაწილმა მხოლოდ იმიტომ გადაწყვეტა, რომ მებომ გაამხილა თავისი სურვილი, იყოს საქართველო ევროპული ოჯახისა და ევროკავშირის წევრი:

– ბოლო ორი კვირის განმავლობაში, იმ ვიდეოს კომენტარებში, სადაც ვსაუბრობ ჩემს სურვილზე, იყოს საქართველო ევროპული ოჯახისა და ევროკავშირის წევრი და სადაც ვითხოვ, როგორც საქართველოს მოქალაქე, რომ შესრულდეს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი რეფორმები და ვალდებულებები, გინებასთან ერთად, ვისმენ და ვკითხულობ იმ „არგუმენტებს“, რასაც ძირითადად ეფუძნება ანტიევროპულად განწყობილი ადამიანების მოსაზრებები: „მე ვარ ქართველი და არა ევროპელი!“ „საქართველო უკვე იყო საბჭოთა კავშირის წევრი და რა საჭიროა, კიდევ გავხდეთ რომელიმე კავშირის წევრი?!“ „საქართველო კავკასიაა და არა ევროპა!“ „ევროკავშირი რომ კარგი ყოფილიყო, ბრიტანეთი გავიდოდა?!“ „რუმინეთი გახდა უკეთესი ქვეყანა?!“ ეს არის ის ძირითადი, ვითომდა ფაქტები, რომელსაც ემყარება საქართველოს ევროპული მომავლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები. მე მათ ანტიევროპული ტყუილები შევარქვი.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ანტიევროპული „არგუმენტი“ ლოგიკურად გაუმართავია. და ავხსნი კიდეც, რატომ.

1. „მე ვარ ქართველი და არა ევროპელი!“ – ქართველობის და ევროპელობის ერთმანეთთან დაპირისპირება, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი და არასწორი საქციელია. წარმოიდგინეთ, ფრანგი რომ ამბობდეს: „მე ფრანგი ვარ და არა ევროპელი!“ ან, ჩვენთვის უფრო ახლო მაგალითი – გურული რომ ამბობდეს – „მე გურული ვარ და არა ქართველი!“

ევროპა კონტინენტია, ევროპა – კულტურული ერთიანობაა, საერთო ქრისტიანულ ღირებულებებსა და საერთო კულტურულ მახასიათებლებს რომ ეფუძნება. შესაბამისად, იყო ევროპელი, ნიშნავს, რომ შენი სახელმწიფო – საფრანგეთი იქნება, გერმანია თუ საქართველო, მიეკუთვნება ევროპას. არც ერთი განმარტებით, არც ერთი ფორმულირებით, არც ერთი ლოგიკით, იყო ევროპელი, არ ნიშნავს აღარ იყო ფრანგი, აღარ იყო გერმანელი ან აღარ იყო ქართველი. ისევე, როგორც, იყო ქართველი, არ ნიშნავს, რომ აღარ იყო მეგრელი ან კახელი.

სწორია: „მე ვარ მეგრელი და ვარ ქართველი“

არასწორია: „მე ვარ მეგრელი და არა ქართველი!“

სწორია: „მე ვარ ქართველი და ვარ ევროპელი“

არასწორია: „მე ვარ ქართველი და არა ევროპელი!“

2. „საქართველო უკვე იყო საბჭოთა კავშირის წევრი და რა საჭიროა, კიდევ გავხდეთ რომელიმე კავშირის წევრი?!“ – ეს მეორე, უფრო დიდი და უფრო ბოროტი ტყუილი: ევროკავშირისა და საბჭოთა კავშირის ერთმანეთთან გატოლება. რას ცდილობთ? სიტყვა „კავშირი“ რადგან ურევია ორივე დასახელებაში, გინდათ ხალხი მოატყუოთ და ამ ორ კავშირს შორის ტოლობა დასვათ? ოდნავ მაინც არ გრცხვენიათ? საბჭოთა კავშირი სახელმწიფო იყო, რომელიც თავისუფლება და დამოუკიდებლობა წართმეულ სახელმწიფოებს აერთიანებდა, ევროკავშირი კი – დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებაა.

უფრო მარტივად რომ ავხსნათ: ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობდა საბჭოთა კავშირი და ვერ მონაწილეობდა ცალკე საქართველო, უკრაინა ან ყაზახეთი, იმიტომ, რომ ეს სახელმწიფოები ფიზიკურად აღარ არსებობდნენ. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო აღარ არსებობდა, როგორც ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე გინახავთ ქვეყანა სახელად „ევროკავშირი“? გიყურებიათ მატჩისთვის – ბრაზილია ევროკავშირის წინააღმდეგ? არა. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ევროკავშირი არ არის სახელმწიფო, რომელიც აერთიანებს ან მომავალში გააერთიანებს სახელმწიფოებს, რომლებიც არ იქნებიან დამოუკიდებლები. საფრანგეთი ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, გერმანია ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფოა და საქართველოც ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნება, როცა ევროკავშირის წევრი გავხდებით.

იცით, საქართველოს რატომ არ ყავს საფეხბურთო კლუბი, რომელსაც ევროპული თასი აქვს მოგებული? იმიტომ, რომ თბილისის დინამო, 1981 წელს, არ იყო ქართული კლუბი. ის წარმოადგენდა საბჭოთა კავშირს და არა – საქართველოს, ჩვენს ქვეყანას და სამშობლოს, რომელსაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჰქონდა წართმეული.

ამავე მიზეზით, ლევან თედიაშვილი არ არის ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, არამედ – საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი. ასეც მოიხსენიება ისტორიაში.

საბჭოთა კავშირმა გააქრო საქართველო, გააქრო პოლიტიკური და კულტურული რუკიდან და გააერთიანა სხვა სახელმწიფოს ქვეშ.

ასე რომ, ფაქტობრივი შეცდომაა სსრკ-სა და ევროკავშირს შორის ტოლობის დასმა.

თუ გულწრფელად, არ ცოდნის გამო აკეთებთ ამას, მაშინ იმედია, ახლა მაინც აღარ დაუშვებთ ამ შეცდომას და მიხვდებით, რომ არასწორია ამის თქმა. ხოლო, თუ ეს ფაქტი ისედაც ძალიან კარგად იცით და მაინც ავრცელებთ ამ ტყუილს, მაშინ ცუდი ადამიანები გამოდიხართ, სხვების მოტყუება და საქარ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

თეთრი სახლი უკრაინის მომავლის შესახებ

თეთრი სახლის წარმომადგენელმა და პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში სელივანმა განაცხადა, რომ უკრაინის მომავალი გარკვეულია: ეს ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრი გახდება.

ბაიდენის მრჩეველმა დაამატა, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა მთელი მსოფლიო დაარწმუნა შემდეგში: რუსეთს, რომელიც ზეწოლას ახდენს მეზობლებზე და ცდილობს, მათ საკუთარი გავლენა მოახვიოს, არა აქვს მომავალი; უკრაინის ჩამოშორებით რუსული გავლენის ზონა მკვეთრად შემცირდა.

მასკი შეშფოთებულია

ამერიკელი მლიარდერი ილონ მასკი უკრაინისათვის კასეტური ბომბების გადაცემით შეშფოთებულია:

გასულ წელს მასკი რუსეთის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო. ის უკრაინელებს კაპიტულაციას ურჩევდა. ახლა მასკი უკვე რუსეთის შესაძლო მარცხის გამო აცხადებს:

– როგორც ჩანს, რუსეთი დამარცხდება და კვლავ 90-იან წლებში დაბრუნდება! არასტაბილური რუსეთი კი ძალზე საშიშია!

უკრაინული არმიის ახალი წარმატებები

უკრაინული არმია რუს ოკუპანტს წარმატებით უმკლავდება. უკრაინელებმა შეინარჩუნეს პოზიციები ლიმანთან, თუმცა ოკუპანტები აქ ფრონტის გარღვევას გულმოდგინედ ცდილობდნენ. დონბასში უკრაინულმა არმიამ გადალახა ჩრდილო დონეცის არხი და შეინარჩუნა თავისი ყველა პოზიცია მარინკასთან. რაც შეეხება ავდეევკას, აქ უკრაინელები ლოკალურ კონტრშეტევებზე გადავიდნენ. შედეგად დაკავებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი. უკრაინელებმა ავდეევკის მიმართულებით წინ წაწევა მოახერხეს. ოკუპანტების ყველა მცდელობა, შეეჩერებინათ ისინი, ამაო გამოდგა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმატებები ბახმუტთან. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, პოლკოვნიკ ჩერევატის ცნობით, უკრაინელებმა უშუალოდ ბახმუტში კიდევ რამდენიმე ქუჩა დაიკავეს. პუტინის მიერ ბახმუტის მიმართულებით გაგზავნილი მედესანტეები მწარედ დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. ბახმუტი კვლავ ფაქტიურად უკრაინული არმიის ალყაში იმყოფება. რუსებს ქალაქის დატოვება არ შეუძლიათ. უკრაინელები კი არც კონტრშეტევის, არც უკან დახევის საშუალებას არ აძლევენ.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ უკრაინულ არმიას გააჩნია წინსვლა ზაპოროჟიე– ხერსონის ოლქში, კერძოდ, უკრაინელებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი გრუშჩევა ბალკა. სულ უფრო იძაბება მდგომარეობა ყირიმში. გასულ ღამეს ქალაქ სევასტოპოლში აფეთქებების ხმა გაისმა. არის მსხვერპლი ოკუპანტებს შორის. აფეთქებები ძლიერდება სხვა დროებით ოკუპირებული ქალაქების ტერიტორიაზე, კერძოდ, სიმფეროპოლში, ფეოდოსიაში, ჯანკოიში.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.107, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 8.026, არტილერია – 4.481, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 425.

განადგურებულია – 250.000 ოკუპანტი.

ფსბ-ს მორიგი პროვოკაცია

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა ფსბ-მ მორიგი პროვოკაცია განახორციელა. მან მოსკოვში ე.წ. „ტერორისტები“ დააკავა. აღსანიშნავია, რომ დაკავებიდან ნახევარ საათში ყველა „ტერორისტმა“ დანაშაული აღიარა.

– ტერორისტები რუსულ ნეოფაშისტურ დაჯგუფებას განეკუთვნებოდნენ და უკრაინული სპეცსამსახურებისაგან იმართებოდნენ, – იტყობნება რტრ-ი.

უკრაინელი ექსპერტის, პოლკოვნიკ ოლეგ ჟდანოვის აზრით, ე.წ. ტერორისტების დაკავება არის მორიგი შოუ, დადგმული ფსბ-ს მიერ. მისი მიზნებია: ა) უკრაინული სახელმწიფოს დისკრედიტაცია; 2) სიმონიანისა და სობჩაკისათვის რეიტინგის აწევის უზრუნველყოფა; 3) რუსი ხალხის თვალში უკრაინელების ტერორისტებად წარმოჩენა; 4) დასავლელი ობივატელის თვალში უკრაინის წარმოსახვა ტერორისტულ ქვეყნად, უკრაინელთა გენოციდის გამართლება.

– ტერორისტებთან კი მოლაპარაკებას არ აწარმოებენ. ტერორისტებს ანადგურებენ! რუსეთიც ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების თვალში უკრაინელთა გენოციდი გაამართლოს, – აცხადებს ჟდანოვი.

რუსები უკრაინაზე ახალ მასობრივ შეტევას ამზადებენ. მან უნდა მოიცვას: 1) სახმელეთო ოპერაციები; 2) საზღვაო ოპერაციები; 3) საჰაერო დაბომბვები. ამას უნდა ერთვოდეს დროებით ოკუპირებულ უკრაინულ მიწებზე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახვრეტები, დეპორტაციები, დაპატიმრებები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მაიმუნმა მოტოციკლისტს ფულით სავსე ჩანთა მოჰპარა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ შახაბადში მაიმუნმა მოტოციკლისტს ჩანთა მოჰპარა, რომელშიც საკმაოდ სოლიდური თანხა იდო.

მოტოციკლის მფლობელი შარაფატ ხუსეინი ყიდვა-გაყიდვის შეთანხმების გასაფორმებლად რეგისტრაციის ბიუროში მივიდა. სანამ მამაკაცი შენობაში იმყოფებოდა, მის მოტოციკლთან მაიმუნი მივიდა. სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, რომ ცხოველმა ყველა იქ მდგომ მოტოციკლს ჩამოუარა და მათი საბარგულები შეამოწმა, შემდეგ ერთ-ერთი მათგანიდან ჩანთა ამოაძვრინა, რომელშიც, როგორც შემდეგ გაირკვა, 150 ათასი რუპია იდო და გაიქცა.

როდესაც მოტოციკლისტი დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ ფული ადგილზე აღარ იყო, პანიკამ შეიპყრო. ის და თვითმხილველები მაიმუნის ძებნას შეუდგნენ. მათ ბოლოს და ბოლოს მაიმუნი ერთ-ერთ ხეზე მჯდომი შენიშნეს და ფულის და ჩანთის წართმევა მოახერხეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საზოგადოება

მეგობ ნუცუბიძე კრიტიკოსებს პასუხობს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თველოს უკეთესი მომავლისთვის ხელის შეშლა რომ გინდათ.

3. „საქართველო კავკასიაა და არა ევროპა!“ – ამ არგუმენტით, ძირითადად, გეოგრაფიის ცოდნისკენ მოგვიწოდებენ ადამიანები. ჩემს გეოგრაფიის მასწავლებელსაც კი აგინებენ. არადა, ისეთი კარგი მასწავლებლები მყავდა სკოლაში, არც ერთი მათგანი არ იმსახურებს ერთ ცუდ სიტყვასაც კი, მერწმუნეთ. ბოდიში რუსიკო მას. ბოდიში ია მას. თქვენი ბრალი მართლა არაფერია. მე ვერ ვივარგე.

საქართველო რომ კავკასიაა, ამით რა? ვინმე გაძალებს ან გეუბნება, არ ხარ კავკასიაო? პირველი, რასაც აქ ჩამოსულ უცხოელ მეგობრებს ვეუბნები, არის ის, რომ საქართველო კავკასიის რეგიონში მდებარეობს.

და ამით რა? მე არ მსმენია და თქვენ გსმენიათ ასე ცალკე, კავკასიური გაერთიანების შესახებ? მაგალითად: კავკასკავშირი – აერთიანებს კავკასიური ღირებულებების სახელმწიფოებს, ან რამე მსგავსი?

გულზე მჯიღად ხელის დარტყმა კავკასიელები ვართო, რას ემსახურება? კადიროველებივით-გვინდა ძაღლების ჩხუბები გავმართოთ, ქალები ვჩაგროთ და გელენვაგენებით ვიკატაოთ? თუ ეს არის კავკასიელობა, დიდი მადლობა, არც ჩემი შვილისთვის მინდა ასეთი მომავალი და არც ჩემი ქვეყნისთვის. ამისთვის არ უბრძოლიათ და არ გაუწირავთ თავი ჩვენს წინაპრებს.

და თუ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზეა საუბარი, დამიჯერეთ, არავინ აპირებს და ვერც შეძლებს, გეოგრაფიული მდებარეობა შეუცვალოს ჩვენს ქვეყანას: დიახ, საქართველო მდებარეობს კავკასიაში. და სწორედ ამ მდებარეობით, არის ევროპული სახელმწიფო და გახდება ევროკავშირის წევრი.

4. „ევროკავშირი რომ კარგი ყოფილიყო, ბრიტანეთი გავიდოდა?!“ – ესეც უმშვენიერესი „არგუმენტია“. ზუსტად ჩანს ჩვენი საფუძველს მოკლებული ამბიციები, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს რომ ვუტოლებთ თავს. დაახლოებით იმ არგუმენტს ჰგავს, შვეიცარია თუ არის ნეიტრალური, ჩვენც ვიყოთ ნეიტრალურები, რა გახდაო.

კითხვაზე, ევროკავშირს უფრო სჭირდება საქართველო თუ საქართველოს ევროკავშირი, პასუხი მარტივია: ჩვენ, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საქართველოს უფრო სჭირდება ევროკავშირი, სხვადასხვა გარანტიებისა და შესაძლებლობებისთვის.

ხოდა, მოდი რა, ნუ ვედრებით დიდ ბრიტანეთს, რომელსაც ვერც თავს დაესხმება ვერავინ და ვერც მის ეკონომიკას მოაკლდება ვერაფერი თუ ცალკე მდგომ სახელმწიფოდ იარსებებს, თავისთვის, კუნძულზე.

მინიმუმ, დედოფალი მაინც უნდა გვყავდეს, ეს არგუმენტი ყურადსაღები რომ გახდეს.

5. „რუმინეთი გახდა უკეთესი ქვეყანა?!“ – და ვინმემ სადმე თქვა, რომ ევროკავშირის წევრობა ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში გერმანიის დონის ეკონომიკა გვექნება? ესეც მორიგი ტყუილია, რომლითაც ადამიანის ემოციებზე თამაშობენ. ევროკავშირის წევრობა ნიშნავს შესაძლებლობებს, გახდე უკეთესი, განვითარდე ეკონომიკურად და გაძლიერდე პოლიტიკურად. იყო დიდი ოჯახის წევრი და თან ისე, რომ არ დაკარგო საკუთარი თავი, საკუთარი იდენტობა.

რუმინეთი თუ ვერ ან არ იყენებს ამ შანსს, ჩვენ რა, არ შეიძლება რუმინეთზე მაგრები ვიყოთ? ბრიტანეთს ვუტოლებთ თავს და რუმინეთს რომ ზემოდან დავხედოთ, ეგ არ გამოგვდის? და საერთოდ, ეს სხვებთან დატოლება რა სპორტია? უბრალოდ, უკეთესი ცხოვრება რომ გვინდოდეს? უკეთესი მომავალი? კარგი სამუშაო პირობები? დაზღვევა? უსაფრთხოება?

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოეშვით უსაფუძვლო არგუმენტების აქეთ-იქით ფრიალს. ევროპელობა არაფერს გვართმევს და ვერც წაგვართმევს. ევროკავშირის წევრობა – მით უმეტეს. პირიქით, მხოლოდ მოგვცემს ახალ შესაძლებლობებს, რომელთა გამოყენებაც ისევ ჩვენზე იქნება დამოკიდებული. იმიტომ რომ, ლანგარზე არავინ არაფერს მოგვართმევს. ყოველ შემთხვევაში, ევროპულ კულტურასა და ევროპული ფასეულობების მატარებელ საზოგადოებაში.

და თუ ვინმე ამას გვპირდება, მაგალითად, ჩრდილოეთიდან დაბერილი ქარი, სწორედ მაგას უნდა ვერიდოთ. კარგად ვიცით, რაც და როგორც მოგვართვეს ლანგრით დაახლოებით ორი საუკუნის და ცოტა მეტის წინ. დღემდე მივირთმევთ იმ მორთმეულს და ვეღარ დავასრულეთ.

მე, პირადად, მომბეზრდა. აღარ მინდა, გადმოგდებული სალაფავის ჭამა. აღარ მინდა, ვიღაცისთვის საზაფხულო „დაჩა“ ვიყო. აღარ მინდა, ჩემთან საჭმელად და სიმღერების მოსასმენად ჩამოდიოდნენ, ზემოდან მიყურებდნენ და მე კიდევ, ხმის ამოღებისა და ჩემი სურვილების გამოთქმის უფლებაც არ მქონდეს.

გინახავთ რომელიმე რუსი, ქართული სიმღერა ესწავლოს? ქართული ენა ესწავლოს? საქართველოს ისტორია ესწავლოს? აფხაზეთი საქართველოდ ეღიარებინოს? გაჩვენოთ ფრანგები, ქართულად რომ მღერიან? გერმანელები, ქართულად რომ საუბრობენ? ევროპელები, ქართული კულტურა და ენა რომ უყვართ და საქართველოს ისტორიას სწავლობენ? ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასაც რომ აღიარებენ და პატივსაც გვცემენ?

„საკუთარ სახლში, თუ მინდა, ტრუსიკითაც გავივლიო“, ამბობდა ხოლმე ჩემი მეზობელი. კარგი კაცი. ხოდა, დროა, თავისუფალი სამყაროს ნაწილი გავხდეთ, სადაც არავინ გადაგვიწყვეტს, ვის და როგორ ვემეგობროთ და რა და როგორ ვაკეთოთ.

მე ვარ ქართველი და ვარ ევროპელი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცს ჯეკპოტის მოგების თაობაზე მიღებული შეტყობინება თაღლითობა ეგონა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა, თუმცა, ამის თაობაზე მიღებული შეტყობინება თაღლითობა ეგონა.

69 წლის მამაკაცის თქმით, ის ლატარიის ბილეთებს ყოველთვის მობილური ტელეფონის დანართის გამოყენებით ამოწმებდა, რათა დამატებითი პრიზების გათამაშებაში მიეღო მონაწილეობა. მცირე ხნის წინ შეტყობინება მიიღო ლატარიის ორგანიზატორებისგან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა. მისი აღიარებით, მან თავდაპირველად ეს ვერ დაიჯერა.

როდესაც მამაკაცმა შეტყობინება მეუღლეს აჩვენა, მისი სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე იფიქრა, რომ რაღაც ცუდი მოხდა. წყვილი შეეცადა სიხარული არ გამოეხატა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ შესაძლოა თაღლითობასთან ჰქონოდათ საქმე.

როდესაც ამერიკელმა იმის დადასტურება მიიღო, რომ მისი მოგება რეალური იყო, ნამდვილი შვება იგრძნო. ის მოგებული თანხით ანგარიშების გასტუმრებას, ხოლო ნაწილის ოჯახის წევრებისთვის განაწილებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ყირიმის ხიდის აფეთქებისას რუსული გუნდი გადარჩა



გუშინ, 17 ივლისს, დილით ყირიმის ხიდზე უკრაინულმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა შეტევა განახორციელეს. საავტომობილო გზა დაინგრა და მოძრაობა შეჩერებულია. ua-football-ის ცნობით, სევასტოპოლში ჩატარებული მატჩის შემდეგ როსტოვის ასკ-ის ფეხბურთელთა გუნდი სწორედ ამ გზით ბრუნდებოდა სახლში, როდესაც რაკეტა მათი ავტობუსიდან 300 მეტრში აფეთქდა.

– ხიდის ბოლოში აფეთქება მოხდა, მეორე უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ მოხდა. ცისტერნებიანი სატვირთო მატარებელი ისე აფეთქდა, რომ ჩვენი ავტობუსის საქარე მინა დაიმსხვრა. კრასნოდარის მხარემდე გასავლელი 3 კილომეტრი გვრჩებოდა, სატრანსპორტო საშუალების დიდი გაბარიტების გამო შემობრუნება ვერ მოვახერხეთ და 15 კილომეტრის უკუსვლით მოძრაობა მოგვიწია, – განაცხადა გუნდის წარმომადგენელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულის გუნდებს უეფამ რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობა აუკრძალა, რუსეთის ფეხბურთის კავშირმა მათ თავიანთ ქვედა დივიზიონებში ასპარეზობის უფლება დართო. მეორე ლიგის პირველ ტურში იალტის „რუბინი“ „ბიოლოგს“ დაუზავდა (1:1), ხოლო „სევასტოპოლმა“ როსტოვის ასკ 3:1 დაამარცხა.

რუსული მხარე თვლის, რომ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის უფლება ისედაც აკრძალული აქვთ, ფიფა და უეფა უფრო მკაცრად ველარ დასჯიან და დირექტივები არ უნდა შეასრულონ.

„ნიუკასლი“ კვარაცხელიას შესაძენად უკან დახევას არ აპირებს

ბრიტანული პრესა „ნაპოლის“ გარემარბ ხვიჩა კვარაცხელიას „ნიუკასლში“ შესაძლო გადასვლაზე ისევ აქტიურად წერს. Daily Mail-ი იტყობინება, რომ ინგლისური გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე საასპარეზოდ სერიოზულად გადახალისდება და გაძლიერდება, კვარაცხელიას სანაცვლოდ ნეაპოლურ კლუბს 82 მილიონი ფუნტი (95 მილიონი ევრო) შესთავაზა, რაც „კაჭკაჭებისთვის“ სარეკორდო სატრანსფერო თანხაა.

გამოცემა აღნიშნავს, რომ შესანიშნავი სეზონის შემდეგ კვარაცხელიამ მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღება მიიპყრო; ნეაპოლელებმა შეთავაზებაზე არ უპასუხეს, რადგან მისი შენარჩუნება აქვთ გადაწყვეტილი.

ფოოტბალ365-ის ცნობით, „ნიუკასლი“ მზადაა შეთავაზება გაზარდოს, ქართველში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც „ლივერპულის“ მწვრთნელ იურგენ კლოპისთვის ძლიერი დარტყმა იქნება, ვინაიდან მას „კვარას“ თამაში ძალიან მოსწონს და როგორც ადრე გამჟღავნდა, ცდილობდა, კლუბის ხელმძღვანელობა დაერწმუნებინა, ხვიჩას „ენფილდზე“ გადასაბირებლად „ნაპოლისთვის“ გიგანტური თანხა შეეძლიათ.

სამგლოვიარო განცხადებები

„ახალი თაობა“ სამძიმარს უცხადებს მიშა ჟორჟოლიანს დედის

გულიკო კათელაძის

გარდაცვალების გამო. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს!

ჩემო ვახო!

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი გარდაცვალება. მართალია, ოთხი წელი საწოლს იყავი მიჯაჭვული, მაგრამ მე და დათო იმედს არ ვკარგავდით. გვჯეროდა, რომ ღმერთი არ გაგწირავდა სიკეთით სავსე კაცს.

იმ ვერაგ დაავადებას, რასაც „დიაბეტი“ ჰქვია, ვერ ვაჯობეთ. ამ საშინელმა სენმა სამუდამოდ წაგართვა თვალის ჩინი, რომელიც შენთვის განაჩენი აღმოჩნდა. ახლა კი მჯერა, რომ ღმერთს მართლა კარგები უნდა. ძნელია, ვახო, უშენობა. უკვე მეორედ მოვიდა შენი დაბადების დღე, მაგრამ ღმერთმა აქაც ვერ დაგვიფარა, რადგან წლების წინ, ზუსტად შენს დაბადების დღეს, 18 ივლისს, მოულოდნელად გარდაიცვალა შენი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი, შენი ბიძაშვილი ნუგზარ გაბრიჩიძე. მას შემდეგ შენს დაბადების დღეზე ცრემლი და სანთლებია.

მშვიდად იძინე, ჩემო ვახო! ღმერთს ვევედრები, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

მე კი რა დამრჩენია ამ ქვეყანაზე – სიცოცხლის ბოლომდე თქვენზე ვილოცებ.

შენი ნანა და დათო

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

„ასე იწყებდა ხვიჩა...“

ზუსტად ერთი წლის წინ ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლის“ რიგებში სასტარტო, ამხანაგურ მატჩებში გაჰქონდა. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა განცდა, რომ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა და ქართველ გარემარბს თავისი შესაძლებლობები მნიშვნელოვან შეხვედრებში უნდა დაემტკიცებინა. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო – გვინახავს ფეხბურთელები, აკლიმატიზაციის პროცესი ძალიან რომ გაეწელათ და მათი კარიერა ამან მნიშვნელოვნად შეცვალა, „კვარა“ კი სიტუაციას თავიდანვე თამამად და ენერგიულად მოერგო, მოწინააღმდეგეებს შიშის ზარს სცემდა; მოულოდნელობის ეფექტიც დიდი იყო. ამის შემდეგ კვარაცხელიასთვის საგანგებო დაცვითი ტაქტიკის შემუშავება დაიწყო. „ასე იწყებდა ხვიჩა“ – ამ გამოხმაურებებს წააწყდებოდით.

გიორგი კვერნაძის სადებიუტო მატჩზე, „ფროზინონესაც“ სუსტი მეტოქე ჰყავდა, თუმცა ეს ქართველი, ასევე მარცხენა გარემარბის მშვენიერ დებიუტს საერთოდ არ აკნინებს.

20 წლის კვერნაძემაც ყველას დაანახა, მის კოზირებად რა მიიჩნევა და თავიდანვე მათ გამოყენებას შეუდგა. საქმე მხოლოდ გოლში არაა, გიორგის სხვა სასარგებლო აქტივობებიც ჰქონდა და მზადების საწყის ეტაპზევე მთავარ მწვრთნელს აგრძნობინა, მისი იმედი რომ შეიძლება ჰქონდეს. აგვისტოს ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ჩვენებურმა ასევე უნდა განაგრძოს. ისიც თავიდანვე გამოჩნდა, ამ ტიპის შემტევებს ფეხებში რა ხშირად ხვდება, კვერნაძე სიფრთხილის მიზნით მოედნიდან გაიყვანეს.

ძალიან გვინდა, გიორგი, ოფიციალურად, ბოლომდე მზად იყოს, გამონაკლისებს გაუძლოს. წინა სეზონის დასაწყისში კვარაცხელიას კონდიციებსაც გარკვეული დრო დასჭირდა, შეუცვლელად რომ ეთამაშა, სპალეტის ტაქტიკურ სქემაში ბოლომდე ჩამჯდარიყო, დაცვაში თამაში კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა. კვერნაძეს ძალიან კარგი „მასწავლებელი“ ჰყავს „კვარას“ განვლილი სეზონი, მისი დამოკიდებულებები. რა თქმა უნდა, ისიც, თუკი ძლიერ საფრთხეს იგრძნობენ, მოწინააღმდეგეთა დამრიგებლები ეცდებიან, კვერნაძის მიმართ დაცვითი ზღუდეები უფრო გაამყარონ. „კვარას“ ირგვლივ მინიმუმ ორი მცველის ყოფნა ჩვეულებრივი ამბავი იყო, რასაც ის წარმატებით უმკლავდებოდა!..

არ გვსურს, კვერნაძე ზედმეტად დავძაბოთ. ამავდროულად, მან ზუსტად იცის, რა დონის ლიგაში მოხვდა და რა არის საკმარისი, რათა აქ წარმატებული იყოს. მისი თანამემამულის აწეული თამასა ძალიან მაღალია, რაც პასუხისმგებლობას ისედაც უზრდის, თუმცა გიორგიმ უნდა ითამაშოს ლაღად, საკუთარ ძალებში დარწმუნებულად!.. დიდი იქნება მწვრთნელის როლი, რა რეაგირება ექნება მას, როცა შემტევებს ყველა დრიბლინგი ერთნაირი წარმატებით არ გამოუვათ, რამაც შესაძლოა, საკუთარ კართან შეტევა გამოიწვიოს; რა დავალებები ექნება გიორგის. ეუსებიო დი ფრანჩესკოსგან მაინც 3-4-2-1 ტაქტიკურ სქემაში ველით, სადაც ძლიერი ნახევარდაცვის პირობებში, ჩვენებური შეტევაზე მეტად იფიქრებს.

სერია „ა“ უფრო „ქართული“ და საინტერესო ხდება!..

ფელიქსი „ნიუკასლში“ გადასვლასთან ახლოსაა

ჟოაო ფელიქსი „ნიუკასლში“ გადასვლასთან ახლოსაა. ამის შესახებ ინფორმაციას The Telegraph-ი ავრცელებს.

წყაროს ცნობით, „ატლეტიკო“ მოთამაშის გასხვისებას გეგმავს და კლუბის დატოვება თავად პორტუგალიელსაც სურს.

ფელიქსი „კაჭკაჭების“ რიგებში თამაშის წინააღმდეგი არაა, თუმცა გარანტირებულ სათამაშო დროს ითხოვს.

ტრანსფერის სავარაუდო ღირებულებად 60 მილიონი ევრო სახელდება.

შეგახსენებთ, ფელიქსმა გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარის წესით „ჩელსიში“ გაატარა, „ლურჯების“ მაისურით გამართულ 16 მატჩში თავი 4 გატანილი გოლით გამოიჩინა.

სერხიო ბუსკეტსი მაიამის „ინტერის“ ფეხბურთელი გახდა

– 35 წლის ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი „ბარსელონადან“ მაიამის „ინტერში“ გადავიდა, – ამის შესახებ ინფორმაციას ამერიკული კლუბი ავრცელებს.

ბუსკეტსმა მაიამის „ინტერთან“ კონტრაქტი 2025 წლამდე გააფორმა.

ბუსკეტსს „ბარსელონასთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ახალ გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა.

ბუსკეტსმა მთელი კარიერა „ბარსაში“ გაატარა, ბოლო სეზონში კი ლა ლიგის 30 მატჩში 4 საგოლე გადაცემა გააკეთა.

ირის ანტმანი: „ზედიზედ ორი გამარჯვება მნიშვნელოვანია“

საქართველოს ქალთა ნაკრებმა სომხეთს მეორე ამხანაგურ მატჩშიც სძლია (3:1). შეხვედრის დასრულების შემდეგ Nakrebi.ge-სთან კომენტარი ჩვენი გუნდის მწვრთნელმა ირის ანტმანმა გააკეთა:

– ზედიზედ ორი გამარჯვების მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთელები არ არიან მიჩვეული სამდღიანი ინტერვალით ორი მატჩის ჩატარებას. გარდა ამისა, რთულია ერთი და იმავე გუნდის წინააღმდეგ თამაში, რადგან მეტოქე შენ შესწავლას ახერხებს.

იყო შეცდომები, თუმცა ეს დასაწყისია და გამოსასწორებელი ბევრი გვაქვს, მათ შორის – მენტალური, ტექნიკური და ტაქტიკური კუთხით. ბევრი დრო არ გვაქვს, მაგრამ ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ და ფეხბურთელები ინდივიდუალურ დავალებებს შეასრულებენ. დასაწყისისთვის კარგი იყო, თუმცა გუნდთან ერთად მეტი დრო გვჭირდება.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 2. უბანი თბილისში; 3. რეცეპტისპირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს თან ახლავს; 4. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 5. დამკაბადონებელი სტამბაში; 10. წყალი მყარ მდგომარეობაში; 11. მხატვრულ ფილმ „უძინართა მზის“ რეჟისორი; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 13. იტალიური რესტორანი; 16. ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 23. ხელოვნების მუზეუმი მილანში.

თარაზულად: 6. რომელიმე ენის ფორმების შემსწავლელი გრამატიკის ნაწილი; 7. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. სასტუმრო თბილისში; 9. ქართველი შტანგისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერის“ სათავო ოფისი; 22. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 24. ბალეტ „გორდას“ მუსიკის ავტორი; 25. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 26. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაზარმა; 2. შარლატანი; 3. ბარაკონი; 4. წერაქვი; 5. შოპენი; 9. სკეტჩი; 11. კარმენი; 12. კომბლე; 14. როკფორი; 18. აშუღი; 19. პეპსი.

თარაზულად: 4. წულაძე; 5. შორაპანი; 6. მალტა; 7. პრიკაზი; 8. გლაქსო; 10. ნაიკი; 13. მარინა; 15. ტოლედო; 16. ნომი; 17. ლიდა; 20. ფუჟერი; 21. ბედეგი; 22. წაღვერი; 23. სუძუკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამერიკა; 5. გინეკოლოგი; 10. ქორალი; 11. კოსტიოლი; 12. მუხიანი; 13. არეშიძე; 16. გალაქტიკა; 17. ზელენსკი; 19. არბალეტი; 21. ფლუსი; 23. პოროშე.

თარაზულად: 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურუჯი; 9; სტეინიცი; 14. არსენალი; 15. ციხისძირი; 18. მალტა; 20. ვერმელი; 22. რეპლიკა; 24. ალმაზა; 25. ვილნიუსი; 26. ჰაშეკი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

18 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5731

ევრო — 2.8909

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3684

100 რუსული რუბლი — 2.8489

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისათვის

გიორგი მამარდაშვილმა შესაძლოა კარიერა ინტერში გააგრძელოს

ვალენსიას ქართველმა მეკარემ გიორგი მამარდაშვილმა შესაძლოა კარიერა ინტერში გააგრძელოს, იტალიური კლუბი მის მიმართ საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენს. მამარდაშვილმა კარგი სეზონი ჩაატარა და მისმა თამაშმა რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღება მიიპყრო. მამარდაშვილით ასევე მიუნხენის ბაიერნიც არის დაინტერესებული, თუმცა ამ ტრანსფერის განხორციელების შანსი დიდი არ არის.

კარლოს ალკარასმა უიმბლდონი მოიგო



ახალგაზრდა ესპანელმა ჩოგბურთელმა კარლოს ალკარასმა უიმბლდონის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა 5 სეტში და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. ფინალი ძალიან დაძაბული გამოდგა და ალკარასს 5 სეტი დასჭირდა იმისთვის, რომ ჯოკოვიჩი დაემარცხებინა. განსაკუთრებით შეგვიძლია გამოვარჩიოთ გეიმი მესამე სეტის დასაწყისში, რომელიც 26 წუთი გაგრძელდა. თამაშის შემდეგ ჯოკოვიჩმა თავის მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და თქვა, რომ ალკარასი მომავალში ბევრს მიაღწევს.

ნიუკასლი კვარაცხელიაში 100 მილიონს იხდის

ნიუკასლი ხვიჩა კვარაცხელიას შეძენით არის დაინტერესებული და ინტერესი იმდენად მაღალია, რომ ინგლისელები მზად არიან ამ ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადონ. მიუხედავად ამ თანხისა, ნაპოლი მაინც არ აპირებს კვარაცხელიას გაყიდვას, რადგან ის გუნდის ლიდერად ითვლება. ნაპოლის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კვარაცხელია იმ ფეხბურთელთა რიცხვში შედის, რომლებიც არ იყიდებიან.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიკო თავაძის ფილმის პრემიერა იერუსალიმში გაიმართება

ქართველი მსახიობის ნიკო თავაძის მონაწილეობით გადაღებული ფილმის პრემიერა იერუსალიმის კინოფესტივალზე გაიმართება.

მსახიობმა მონაწილეობა მიიღო რეჟისორ დოვერ ქოსაშვილის ფილმში, რომელიც საქართველო-ისრაელის ერთობლივი ნამუშევარია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ახალგაზრდა მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, უნდა დამეხმაროთ!

– რაშია საქმე?

– ყოველ ღამე ერთსა და იმავე საშინელ სიზმარს ვხედავ: ვწევარ საწოლში, ხუთი უმშვენიერესი გოგონა კი ცდილობს, ტანსაცმელი გამხადოს.

– და ამ დროს თქვენ რას აკეთებთ?

– ხელის კვრით ვიშორებ თავიდან!

– ჰოო, გასაგებია. და მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– ხელები დამამტვრიეთ!!!

•••

სმს მიმოწერა:

– შენი შვილი ისევ ჩემს ეზოშია.

– ისევ?

– შარვალი არ აცვია და ჩემს ძაღლს დასდევს.

– ბიჭები ყოველთვის ბიჭებად რჩებიან.

– ჰო, მაგრამ შენი 26 წლისაა და გატიალებული მთვრალია!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი კატა ჩვენი მთავრობასავითაა.

– ეგ როგორ?

– ყველგან ცხვირს ყოფს, სადაც არ ეკითხებიან, ყველაფერი აინტერესებს, არადა, არაფერში გამოდგება და უმაგისოდაც კარგად კეთდება საქმე.

•••

კაცი მეგობარს პროზექტურაში ესტუმრა. ხედავს, სამი მიცვალებული ასვენია და სამივეს გაღიმებული სახე აქვს. მეგობარს ეკითხება:

– ვერ გავიგე, აქ ცირკია თუ პროზექტურა, რატომ იღიმებიან?

– ეს პირველი აზარტული თამაშის მოყვარული იყო, კაზინოში წავიდა, ყველაფერი წააგო, ბოლო მონეტა ავტომატში ჩააგდო და ჯეკპოტი მოხსნა. როდესაც ნაღდი ფული მილიონი დოლარი ჩაუთვალეს, სიხარულისგან...

– მეორეს რა დაემართა?

– ეს საერთოდ სამაგალითო მეოჯახე იყო. ოცდაათი წელი დასჭირდა მეუღლის დასათანხმებლად, რომ სხვა პოზა ეცადათ. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა და ექსტაზში მყოფს ინფარქტმა დაარტყა. სამწუხაროდ, ასეც ხდება.

– და მესამეს რატომღა აქვს მოღიმარი სახე?

– მეხი დაეცა.

– მერე?

– ამას ეგონა, სურათს უღებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზუკა პაპუაშვილი დააჯილდოვეს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ზუკა პაპუაშვილი დააჯილდოვეს. მას ჯილდო მამაკაცის საუკეთესო როლისთვის ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრალურ ფესტივალზე გადაეცა.

ინფორმაცია რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– რუსთაველის ეროვნული თეატრი ულოცავს მსახიობ ზუკა პაპუაშვილს ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიღებულ ჯილდოს მამაკაცის საუკეთესო როლისთვის – ერისთავის თეატრის სპექტაკლში „ქეიფი სოლოლაკში“, რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე.



ბრუნო ვეფხვაძის ნახატი სოთბის აუქციონზე გაიტანეს

ქართველი მხატვრის ბრუნო ვეფხვაძის ნახატი „რომაული გაზაფხული“ სოთბის აუქციონზე მოხვდა:

– ჩემი ნამუშევარი „რომაული გაზაფხული“ წარდგენილია სოთბის აუქციონზე. ნამუშევარი წელს გახდა ამერიკაში გამართული მე-16 საერთაშორისო კონკურსის ნატურმორტის კატეგორიის ერთ-ერთი გამარჯვებული. კონკურსის ორგანიზატორის ეგიდით აუქციონზე გატანილია 60 ნამუშევარი 25 ქვეყნიდან, ეს ძირითადად გამარჯვებული და ფინალისტი ნამუშევრებია. აუქციონის პარალელურად გამართება გამოფენა ნიუ იორკში, სოთბის საგამოფენო დარბაზში.

რეჟისორ გიორგი გოგიბერიძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება

ბათუმელ რეჟისორს გიორგი გოგიბერიძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. 48 წლის გიორგი ავთვისებიან სიმსივნეს ებრძვის.

რეჟისორი საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის „ბიაფის“ დამაარსებელი და დირექტორია. მკურნალობა ფილტვსა და ღვიძლზე აღმოჩენილ ავთვისებიან სიმსივნეზე 2 წელია გრძელდება. სიტუაცია რთულია, მაგრამ ექიმების თქმით, მკურნალობას ექვემდებარება.

რეჟისორის მკურნალობისთვის საჭირო სოლიდური თანხების მობილიზება ამ დრომდე მისი ოჯახის წევრების, მეგობრების, დაზღვევისა და სახელმწიფო პროგრამების საშუალებით ხდებოდა, თუმცა ამჟამად ყველა რესურსი ამოწურულია და საზოგადოების დახმარებაა საჭირო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მეორადებში ნაყიდი ვაზა ხელოვნების ნაწარმოები აღმოჩნდა

ბრიტანეთის სურეის საგრაფოში მეორადების მაღაზიაში ორნახევარ ფუნტ სტერლინგად ნაყიდი ვაზა ძვირადღირებული ხელოვნების ნაწარმოები აღმოჩნდა.

ქალაქ ეპსომის მკვიდრმა ახალგაზრდა წყვილმა საქველმოქმედო მაღაზიაში მომცრო შავი ფერის ვაზა შენიშნა, რომელზეც შავ ფონზე მამლები და ქათმები იყო გამოსახული. მათი ყურადღება ვაზის ფსკერზე გაკეთებულმა ნიშანმა მიიპყრო და იფიქრეს, რომ შესაძლოა ის ძვირფასი ნივთი აღმოჩენილიყო. ნივთის შეძენის შემდეგ წყვილმა მსგავს ნივთებზე ინფორმაციები მოიძია და შემდეგ აუქციონის ექსპერტს მიმართა. ექსპერტმა ვაზა საგულდაგულოდ დაათვალიერა და განაცხადა რომ ის XIX საუკუნის ბოლოს იაპონური ემალის ოქროს ხანის ოსტატის ნამიკავა იასუიუკის მიერაა დამზადებული. ვაზას აუქციონზე გასაყიდად მიმდინარე წლის 29 ივლისს გამოიტანენ. მისი საწყისი ფასი 10 ათასი ფუნტ სტერლინგი იქნება.

მამაკაცი უზარმაზარ პითონს შეებრძოლა და აჯობა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსში მამაკაცი ხუთმეტრიან ვეფხვისებურ პითონს შეებრძოლა, რომელსაც ბიგ-საიპრესის ნაკრძალში გადააწყდა.

ჯეიკ ვალერი ღამის პირველ საათზე ეროვნულ ნაკრძალში გადაეყარა პითონს. ამის ამსახველ ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ გამოათრევს ბალახებიდან გზაზე მამაკაცი უზარმაზარ ქვეწარმავალს. ის კი უძალიანდება და კბენას ცდილობს.

ადგილობრივმა არაკომერციულმა ფონდმა რეპტილიის ზომები დაადასტურა. მისმა სიგრძემ 5,79 მეტრი, ხოლო წონამ 57 კილოგრამი შეადგინა. ბუნების დაცვის ორგანიზაციის განცხადებით, ის ყველაზე დიდი ოფიციალურად დარეგისტრირებული პითონია ფლორიდის ისტორიაში. ადრინდელი რეკორდსმენი პითონის სიგრძე 5,71 მეტრს შეადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

თარაზულად: 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც გაიმართა პირველი ზამთრის ოლიმპიადა; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. მდინარე ციმბირში; 17. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 22. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 23. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა